



დამოუკიდებელი ინსპექტორის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 18 აპრილი

დისციპლინური საქმე №36/22  
მოსამართლე --- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

-- -- 2022 წლის 17 მარტის №36 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75<sup>6</sup> მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 18 მარტის №163/36-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ 2022 წლის 25 მარტს №180/03 წერილით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა 2021 წლის 30 ივლისის სასამართლო სხდომის ვიდეოჩანაწერი.

**1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:**

1.1. საჩივრის ავტორის განცხადებით მოსამართლის მხრიდან ადგილი ჰქონდა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციას, რაც გამოიხატა იმაში, რომ არ მისცა საჩივრის ავტორს უფლება დაეფიქსირებინა პოზიცია საქმის გარემოებებთან დაკავშირებით. მიმართავდა უხეშად და გამუდმებით აწყვეტინებდა საუბარს. არ აძლევდა საშუალებას გაებათილებინა ცრუ ინფორმაცია, რომელსაც სამართალდამრღვევი სხდომაზე აცხადებდა. ამასთან, მოსამართლემ დაარღვია მხარეთა სხდომაზე მოწვევის წესი.

1.2. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ სხდომაზე განაცხადა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი ითვალისწინებდა ჯარიმასა და ადმინისტრაციულ პატიმრობას, თუმცა დადგენილებაში საბოლოოდ მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლა. შესაბამისად, საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ შეცვალა მიღებული გადაწყვეტილება. ამასთან, მოსამართლის ქმედების გამო უარი ეთქვა საჩივრის წარმოებაში მიღებაზე და არ მიეცა დადგენილების გასაჩივრების შესაძლებლობა.

**2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს --- -- სამმართველოდან --- -- სასამართლოში შევიდა მასალები --- -- მიმართ, შედგენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად.

საქმეზე სხდომა გაიმართა 2021 წლის 15 ივლისს. სხდომა გადაიდო მხარეთა გამოუცხადებლობის გამო. სხდომა გაიმართა 2021 წლის 1 ივლისს და 30 ივლისს, ხოლო 2 აგვისტოს მოსამართლემ გამოაცხადა მიღებული დადგენილების სარეზოლუციო ნაწილი.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილებით -- -- ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად, გათავისუფლდა ამავე კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელისაგან და გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა.

2021 წლის 23 სექტემბერს, -- -- სასამართლოს განცხადებით მიმართა -- -- და მოითხოვა კანონიერ ძალაში შესული დადგენილების შესახებ ინფორმაცია. 2021 წლის 13 ოქტომბერს -- -- მოითხოვა კანონიერ ძალაში შესული დადგენილების გადაცემა. აღნიშნული დადგენილება მხარეს გადაეცა იმავე დღეს.

დადგენილებაში დაშვებული უსწორობის გასწორების მოთხოვნით -- -- სასამართლოს განცხადებით -- -- მიმართა 2021 წლის 18 ოქტომბერს.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 20 ოქტომბრის უსწორობის გასწორების დადგენილებით -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილებაში დაშვებული უსწორობა გასწორდა და მასში ნაცვლად მითითებულისა: „-- --“, მიეთითა: „-- --“.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება 2021 წლის 20 ოქტომბერს გაასაჩივრა -- --.

-- სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 25 ნოემბრის დადგენილებით -- -- საჩივარი -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილებაზე არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილება.

### **3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი

უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა, ფართო გაგებით, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2 ქვეპუნქტში მითითებული გარემოებები სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

მოცემულ შემთხვევაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, წვრილმანი ხულიგნობა – საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს, – გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარიდან 1,000 ლარამდე ოდენობით ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

ამავე კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, თუ ჩადენილია მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, საქმის გადასაწყვეტად უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია გაათავისუფლოს დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და დასჯერდეს სიტყვიერ შენიშვნას. სიტყვიერი შენიშვნა არ გამოიყენება, თუ ჩადენილია იგივე ქმედება განმეორებით, ან თუ დამრღვევის მიმართ ადრე ჩადენილი იმავე ქმედებისათვის ამ მუხლის საფუძველზე გამოყენებული იყო სიტყვიერი შენიშვნა.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ -- -- სასამართლოს 2021 წლის 2 აგვისტოს დადგენილებით -- -- ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად, გათავისუფლდა ამავე კოდექსის 166-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელისაგან და გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სასამართლომ სამართალდარღვევის საქმის განხილვისას მხედველობაში მიიღო ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი და შედეგი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი. სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ ვითარებაში, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენდა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიერ სამართალდარღვევის პირველად ჩადენის ფაქტი და რეალური ზიანის ფაქტის არარსებობა, ასევე, მოსამართლემ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ზეპირი გასაუბრების შესახებ ოქმში -- -- მიუთითებდა, რომ სურდა, -- -- გაფრთხილებული ყოფილიყო. შესაბამისად, მოსამართლემ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების

ერთიანობა ქმნიდა იმის წინაპირობას, რომ გამოყენებული ყოფილიყო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლი.

რაც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლას, აღნიშნულთან მიმართებით მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლემ სხდომაზე განმარტა 166-ე მუხლის შემადგენლობა, ხოლო ფაქტობრივი გარემოებების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის გამოყენებისა და სიტყვიერი გაფრთხილებით შემოფარგვლის შესახებ, რაც ვერ იქნება მიჩნეული გადაწყვეტილების შეცვლად.

აღსანიშნავია, რომ დადგენილების სარეზოლუციო ნაწილში მისი გასაჩივრების წესი კანონის შესაბამისად არის განმარტებული და მოსამართლის ბრალეული ან გაუფრთხილებელი ქმედებით მხარისათვის გასაჩივრების უფლების წართმევას ადგილი არ ჰქონია.

აქვე აღსანიშნავია, რომ ზემდგომი ინსტანციის მოსამართლის მიმართ დისციპლინური საჩივარი არ ყოფილა წარმოდგენილი, ხოლო წარმოდგენის შემთხვევაშიც კი მიღებული დადგენილების კანონიერებაზე ზედამხედველობა (საჩივრის მიღებაზე უარის თქმის კანონიერების შეფასება) სცდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციას, რადგან მითითებული გარემოებების შეფასება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად მიღებული განჩინების შემოწმებას გულისხმობს, რაც არ წარმოადგენს დისციპლინური სამართალწარმოების კუთხით მსჯელობის საგანს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ადმინისტრაციული სახდელის დადების 4 თვიანი ვადა დადგენილების გასაჩივრებამდე ნამდვილად გასული იყო.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

### გადაწყვიტა:

1. -- -- 2022 წლის 17 მარტის №36 საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, აქტის კანონიერების შემოწმების ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2. პუნქტი).
2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №36/22 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1. პუნქტი).

**ზურაბ აზნაურაშვილი**  
დამოუკიდებელი ინსპექტორი